ოქმი:**ო06. 3723145001**

თარიღი:**29/05/2023**

ოქმი # 2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

2023 წელი

31 მარტი

ქ.ოზურგეთი

11:00-12 :00 საათი

თავმჯდომარეობდა: ნინო ჭანიშვილი- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე.

საბჭოს მდივანი: მარინა ვაშალომიძე

საბჭოს წევრები: დავით დარჩია, ლავრენტი ბიგვავა, ქეთევან ხომერიკი, ხათუნა ცერცვაძე, მარიკა ჩხიკვიშვილი, ბექა თოიძე, ნუგზარ ურუშაძე, გიორგი შილაკაძე, ტარიელ აროშიძე

მოწვეული სტუმრები:

მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური - კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განყოფილების სპეციალისტი ქეთი მახარაძე;

საინფორმაციო სამედიცინო ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა“, პროექტი „შშმ ქალების მიმართ გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა აღმოსავლეთ პარტნიორობის ხუთ ქვეყანაში“ - პროექტის მენეჯერი: ქეთევან ჭელიძე.

საინფორმაციო სამედიცინო ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა“, პროექტი „შშმ ქალების მიმართ გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა აღმოსავლეთ პარტნიორობის ხუთ ქვეყანაში“ - პროექტის კოორდინატორი: თამარ მაჭარაშვლი

სხდომის თავმჯდომარე ნინო ჭანიშვილი მიესალმა საბჭოს წევრებს და გააცნო მათ სხდომის დღის წესრიგი. სხდომას ესწრებოდა 11 წევრი.

დღის წესრიგი:

1. **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 წლის საქმიანობის ანგარიში**

მომხსენებელი: ნინო ჭანიშვილი.

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს დამსწრე წევრებს გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში. საბჭომ

დამაკმაყოფილებლად შეაფსა წარმოდგენილი ანგარიში და გადაწყვიტა რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 წლის საქმიანობის ანგარიში წარედგინოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

2. **ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ საკითხებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალთა უფლებების შესახებ ინფორმაციის წარდგენა**

მომხსენებელი: ნინო ჭანიშვილი.

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს დამსწრე წევრებს გააცნო ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმაში ასახული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალთა უფლებები, ისაუბრა რომ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში გენდერული თანასწორობის საბჭოს აქვს განსაკუთრებული როლი, ხელი შეუწყოს ადგილობრივ დონეზე ქალთა გაძლიერების ინკლუზიური და მეინსტრიმული პროგრამების შემუშავებას, რაც ხელს შეუწყობს შშმ ქალთა სრულ და ეფექტურ ჩართულობას რეალური/ხელშესახები ცვლილებებისთვის გენდერული თანასწორობის მიმართულებით.

მანვე საბჭოს წარუდგინა საინფორმაციო სამედიცინო ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა“, ა(ა)იპ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა ეროვნულ ქსელთან“ პარტნიორობით ახორციელებს პროექტს „შშმ ქალების მიმართ გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა აღმოსავლეთ პარტნიორობის ხუთ ქვეყანაში“ პროგრამის ფარგლებში „ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის: ერთად გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერული ძალადობის დასაძლევად“ პროექტის მენეჯერმა ჭეთევან ჭელიძემ და პროექტის კოორდინატორმა თამარ მაჭარაშვილმა ისაუბრა პოროექტის მნიშვნელობაზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ფოკუს ჯგუფური დისკუსიის ანგარიშის განხილვასა და სამომავლო ღონისძიებებზე.

წარდგენილი ინფორმაცია მიღებული იქნა ცნობად

ნინო ჭანიშვილი

გენდერული თანასწორობის საბჭო-საბჭოს
თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი